


# საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიენიჭა

*რაც უფრო მალე შეიკვრებით, მით უფრო მალე იქნება წინსვლა. შესაბა-მისად, ყველაფერი საქართველოს ხე-ლთ არის, რომ წინ წავიდეს და ღია კარში გავიდეს,* — ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტმა, **ურსულა ფონ დერ ლაიენმა** ბრიუსელში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომელზეც უკრაინის, მოლდოვას და საქართველოს განაცხადებთან დაკავშირებით ევროკომისიის დასკვნა წარმოადგინა.



მისივე შეფასებით, საქართველოსთვის უშველებელი წინგადადგმული ნაბიჯია, რომ მას ევროპული პერსპექტივა მიენიჭა.

*,,უშველებელი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოსთვის, რომ მას ევროპული პერსპექტივა მიენიჭა. კარები არის ფართოდ გახსნილი, საქართველოზეა დამოკიდებულები გადადგას შესაბამისი ნაბიჯები, რომ გაერთიანდეს მთელი ქვეყანა პოლიტიკურ მხარეს და მკაფიოდ აჩვენოს, რომ აქტიურობა სურთ. ეს განსაზღვრავს ვადებსაც, თქვენ დამოკიდებული - რაც უფრო მალე შეიკვრებით, მით უფრო მალე იქნება წინსვლა. შესაბამისად, ყველაფერი საქართვე-ლოს ხელთ არის, რომ წინ წავიდეს და ღია კარში გავიდეს",* - —აღნიშნა ფონ დერ ლაიენმა ქართველი ჟურნალისტის კითხვაზე.

ინფორმაციისთვის, ევროკომისია რეკომენდაციას იძლევა, უკრაინას და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიანიჭოს, საქართველოსთან დაკავშირებით კი აცხადებს, რომ საკითხს კონკრეტული პირობების შესრულების შემდეგ დაუბრუნდება.


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 16 (10428) 20 ივნისი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.


# სოფელ ბუკისციხეში მრავალფუნქციური სათემო ცენტრი გაიხსნა



ღონისძიებას სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი ხელისუფლების, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს, საქართველოში შვეიცარიის საელჩოს, გაეროს ორგანიზაციების წარმომადგენლები და ადგილობრივ მოსახლეობა დაესწრნენ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ,** საკრებულოს თავმჯდომარემ **ირაკლი კუჭავამ,** შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს რეგიონულმა ხელმძღვანელმა **დანიელ მევლიმ,** გაეროს მუდმივმა კოორდინატორმა საქართველოში **საბინე მახლმა,** **IOM-**ის მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში **სანია ჩელებიჩ ლუკოვაცმა** და გაეროს განვითარების პროგრამის (**UNDP**) ადგილობრივი პროგრამების ოფიცერმა **გიორგი ნანობაშვილმა** დამსწრეებს სიტყვით მიმართეს.

მრავალფუნქციური სათემო ცენტრი ბუკისციხეში გაეროს განვითარების პროგრამისა **(UNDP)** და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (**IOM)** ურთიერთთანამშრომლობითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

# ოზურგეთში ახალი სატრანსპორტო კომპანია იქმნება

## იგეგმება თუ არა სამომავლოდ მისი კერძო კომპანიაზე გადაცემა?

**ალიონი.** ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეფორმა იწყება. ოზურგეთის მერიის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტს ა(ა)იპ ,,პარკირების მართვის ცენტრი"-ს ლიკვიდაციის მიზანშეწონილობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე, საკრებულომ, მხარი დაუჭირა.

როგორც საკრებულოს სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ-მა მოადგილემ **გიორგი ღურჯუმელიძემ** აღნიშნა, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელებაა.

*— რეფორმა ემსახურება პარკირების სისტემის გაუმჯობესებას, მოწესრიგებული, კომფორტული და ხელმისაწვდომი პარკირების ადგილების შექმნას. დღეს ჩვენ მმართველობის ფორმას ვიხილავთ, გეგმას და ხედვას კი დეტალურად წარვუდგენთ სა-ზოგადოებას, საკრებულოს და ერთად ვიმსჯელოთ ამ საკ-ითხზე* —განაცხადა გიორგი ღურჯუმელიძემ.



აღნიშნულ საკითხზე თავისი კრიტიკული შენიშვნა დააფიქსირა ენმ-ს ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით მჟავანაძემ.**

*— საინტერესოა რა სარგებელს მიიღებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სატრანსპორტო კომპანიის შექმნით? რა თანხები მიიღო მუნიციპალიტეტმა დღეის მდგომარეობით? რა თანხა იხა-რჯებოდა ბიუჯეტიდან ,,პარკირების მართვის ცენტრის" შენახვაზე და მასთან ,,ოზურგეთის მუნიციპალური ტრანსპორტის" შერწყმის შემდეგ ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების გამოყოფა იქნება თუ არა საჭირო?* — განაცხადა მჟავანაძემ.

*— რა ფორმითაა გათვალისწინებული ტაქსების ლოკალიზაციის საკითხი? განიხილება თუ არა ამ ბიზნესის კერძო კომპანიებზე გადაცემის საკითხი? მით უმეტეს მინიმალური დანახარჯებით არაა პატარა შემოსავალი*— ეს კითხვა კი ფრაქცია ,,საქართველოსათვის" თავმჯდომარე **ალეკო ბურჭულაძემ** დასვა.

ფრაქცია ,,ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ხათუნა ცერცვაძე** დაინტერესდა, სამომავლოთ იგეგმება თუ არა ოზურგეთში ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის მოყვანა, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, **ლავრენტი ბიგვავამ** მოითხოვა, მუნიციპალიტეტის მერიას გაკეთებული ჰქონდა თუ არა შედარებითი ანალიზი რა იყო და რა შეიძლება იყოს მომავალში.

*— ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელების მიზნით იქმნება ეს ორგანიზაცია. პარკირების ცენტრი არ იღებს სუბსიდიას, ხოლო კომპანიის შემოსავლები მოხმარდება სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე ამ ბიზნესის კერძო კომპანიაზე გადაცემა არ იგეგმება* —უპასუხა მათ გიორგი ღურჯუმელიძემ.

საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს საკრებულოს სამივე ფრაქციის წარმომადგენლებმა. დადებითი დასკვნა წარმოადგინა დარგობრივმა კომისიამ.

განკარგულება საკრებულომ დაამტკიცა.

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*

**ნუგზარ ასათიანი**

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*

**გიორგი გოგოლაძე**

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე

«ალიონით»


# სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი ურუშაძე განცხადებას ავრცელებს



მინდა გამოვეხმაურო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე რადიკალური ოპოზიციისა და მისი სატელიტი, პარტიული ტელეკომპანიის მიერ გავრცელებულ მორიგ დეზინფორმაციას, რომლებიც არასწორი ინფორმაციის მიზანმიმართულად გავრცელებით ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. თითქოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მხოლოდ იმიტომ ხორციელდება, რომ ამ ქუჩაზე ცხოვრობს სახელმწიფო რწმუნებული არის სიცრუე.

აღნიშნული ტყუილის გავრცელება კიდევ ერთხელ მიუთითებს მათ არაკვალიფიციურობასა და არაკომპეტენტურობაზე.

**გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობა 2021 წლის 28 ივნისს დავიკავე. ზემოაღნიშნული ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი გამოცხადდა 2021 წლის 4 ივნისს, შესაბამისად მოცემულ პერიოდში მე ვერ ვიქნებოდი ჩართული სამუშაოების დაგეგმვაში.**

ადამიანებზე ზრუნვა, მათთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა ჩვენი ხელისუფლების მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. გურიის რეგიონში ძალიან მნიშვნელოვან პროექტებზე ვმუშაობთ და დეზინფორმაცია ხელს ვერ შეგვიშლის მათ განხორციელებაში.

# ოზურგეთის საკრებულომ, დღის წესრიგით გათვალისწინებულ 7 საკითხზე იმსჯელა

საკრებულოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა განკარგულებები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

საკრებულომ მიიღო დადგენილება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-თ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვაანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ;

ცვლილებები შევიდა შემდეგ ნორმატიულ აქტებში: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შესახებ“, საკრებულოს რეგლამენტსა და სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულებაში.

# სოფელ ქვიანში გენერალ დავით ართმელაძის სახელობის მემორიალი გაიხსნა

გენერალი ართმელაძე სოფელ ქვიანში 1865 წელს დაიბადა. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო აღმშენებლობის პროცესში. 1921 წელს ქალაქ ბათუმის გადასარჩენად გენერალ მაზნიაშვილსა და ფრიდონ წულუკიძესთან ერთად იბრძოდა. ის სოფელ ქვიანშია დაკრძალული.

ღონისძიებას ლანჩხუთის მერი ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე აროშიძე, ართმელაძეების გვარის წარმომადგენლები და სოფლის მცხოვრებლები ესწრებოდნენ.



# რა პასუხი გასცა მარი ჩხიკვიშვილმა ენმ დეპუტატს თათია ნიკოლაიშვილს



15 ივნისს გამართულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე ენმ დეპუტატმა **თათია ნიკ-ოლაიშვილმა** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებამდე ტრადიციულად სიტყვა ითხოვა:

*—ბიძინა ივანიშვილი არის რუსი ოლიგარქი. ამჯერად ამას მარტო მე არ ვამბობ. ეს სიტყვები ევროპამ ჩაწერა რეზოლუციაში. იგი საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის ევროპულ მომავალს.*

*ქ. ოზურგეთში, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. რატომ ხდება, რომ პრიორიტეტი ეძლევა ხელისუფლების წარმომადგენელს და არა ხალხს. ამ ქუჩაზე, უფრო სწორად ამ ჩიხში ცხოვრობს ჩვენი გუბერნატორი. რა დააშავეს იმ მოქალაქეებმა, ვისაც ასეთი მეზობელი არ ჰყავს?*

*ეს თქვენს დამოკიდებულებას აჩვენებს ხალხისადმი, არის კორუფცია, რატომ უგებენ გზას პირველ რიგში გუბერნატორს, როცა გზა დასაგებია მთისპირში, ბახვში და ა.შ.* — განაცხადა თათია ნიკოლაიშვილმა.

აღნიშნულ ბრალდებებს პასუხი გასცა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მარი ჩხიკვიშვილმა:**

*— საკრებულომ რა თქმა უნდა განსხვავებული აზრი უნდა მოისმინოს. ქალბატონო თათია, კარგად წაიკითხეთ დასახელებული რეზოლუცია და კომპეტენციის განვითარებაზე იზრუნეთ, რადგან ეს საკრებულოა..*

*რაც შეეხება რეზოლუციის დასკვნას, ჩვენი ხელისუფლების მიზანს, სწორედ ევროპული მიმართულებები წარმოადგენს.*

*ჩვენ ვზრუნავთ სოფელზეც და ქალაქზეც. იქნებ მითხრათ, რამდენი კილომეტრი გზა დაიგო თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს?*

*იქ, სადაც გუბერნატორი ცხოვრობს, ხალხი არ ცხოვრობს? ამას საუბრობენ პოპულისტი, განადგურებული ადამიანები* —უპასუხა ნიკოლაიშვილს მარი ჩხიკვიშვილა.

რაც შეეხება გურიის გუბერნატორს, მან სპეციალური განცხადება გააკეთა თათია ნიკოლაიშვილის ბრალდებებთან დაკავში-რებით.



# ლანჩხუთში გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით შეხვედრა გაიმართა



ლანჩხუთში გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრა გაიმართა, რომელსაც სხვადასხვა პროფესიის ქალბატონები ესწრებოდნენ; ისაუბრეს გენდერულ ჭრილში არსებულ მნიშვნელოვან პრობლემებზე, დააყენეს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხი. შეხვედრაზე დაიგეგმა ცნობიერების ამაღლების კუთხით მსგავსი შეხვედრების ხშირი ჩატარება ფოკუსჯგუფებთან.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მსგავსი ტიპის შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.

ღონისძიებას ლანჩხუთის მერი ალექსანდრე სარიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე დაესწრნენ.

# „აოხრებულია ყველაფერი, პრაქტიკულად მდინარე არ არსებობს“





**ალიონი.** 15 ივნისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დაბა ნასაკირალის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ბესო ქათამაძემ**- სიტყვა ითხოვა. ბესო ქათამაძეს ახალი არაფერი არ უთქვამს, მაგრამ იმ თემას შეეხო, რომელიც ოზურგეთის მომავლ-ისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

— ვანდალიზმი და საზიზღრობა ხდება ჩვენს მუნიციპალიტეტში ქვაღორღის მოპოვებასთან დაკავშირებით. ბაილეთი-სილაური—ნასაკირალის მონაკვეთზე ულიცენზიოდ მოიპარეს მილიონობით ლარის ღირებულების ინერტული მასალა. სოფელ სილაურში მდინარე სუფსიდან ინერტული მასალა გაჰქონდა კომპანიას, რომელსაც შესაბამისის ლიცენზია არ გააჩნდა.

აოხრებულია ყველაფერი, პრაქ-ტიკულად მდინარე არ არსებობს, ახლა იგივე პროცესი, სოფელ გურიანთაში, შავიზღვისპირა 20 კილომეტრიან ზოლში, მდინარე ნატანების აუზში მიმდინარეობს. რაც ხდება გურიანთაში, ეს ვანდალიზმია, მოსახლეობა ამბობს, რომ საფრთხე ექმნება ლაითურის ჭაბურღილებს, რომლის პროექტი სახელმწიფოს 5 მილიონი ლარი დაუჯდა. გეოლოგებიც ამბობენ, რომ ჭაბურღილებს საფრთხე ექნებათ. მაინტერესებს ვინ არის ეს ხალხი, ვინ მფარველობს მათ, რომ ასე ვანდალურად ექცევიან გარემოს და მილიონობით ლარს რომ იდებენ ჯიბეში. პასუხს ვინ სთხოვს — განაცხადა ბესო ქათამაძემ.

ქათამაძეს მერის მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ** უპასუხა:

—მე როგორც მაქვს ინფორმაცია, სხვა ლოკაციაზე არ მიმდინარეობს ინერტული მსალის მოპ-ოვება. გურაინთაში ხდება ეს, ავტობანი უნდა აშენდეს.ლიცენზია აქვს მაგ კომპანიას და თანხმობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისაგან 2021 წელს აქვს მიცემული და მასზე მე ნუ მომთხოვთ პასუხს.

თუ გაქვთ ინფორმაცია, შეგიძლ-იათ დარეკოთ მუნიციპალურ ინსპე-ქციაში და შესაბამისი შეტყობინება გააკეთოთ. ერთად ვაკონტროლოთ, ჩვენი ინტერესიც ეს არის გარემოს დაცვა, კანონის შესაბამისად ვიმოქმედოთ —უთხრა ქათამაძეს ღურჯუმელიძემ.

ამით დასრულდა ეს კითხვა.

კარიერების თემით ყველაზე მეტად ალბათ ჟურნალისტები არიან დაინტერესებულნი, რადგან წლე-ბია ვწერთ გურიის მდინარეებზე არსებულ მდგომარეობაზე. თავდაპირველად ბევრნი ვიყავით, თუმცა თანდათან ჩამოგვცილდა თანამოაზრეები —ზოგმა რესურსის არქონა დაასახელა, ზოგმა სხვა მიზეზი...

ისე, მთლად ადვილი არ არის, იქ მისვლა, სადაც მოსალოდნელი სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხ-ოფისაგან თავის დასაცავად 112-ზე დარეკვა და პოლიციის გამოძახება ხდება საჭირო. ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო მუხტიც, ცრუ დაპირებებით (გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები) შეაჩერეს.

არც თუ შორეულ წარსულში, ახლახან, მდინარე სუფსის ხეობაში მომხდარიც საკმარისია იმის ასახსნელად, როცა კომპანია „ქიუ ემ სიმ“ ვითომდა „გასწორხაზოვნების“ მოტივით, ნაპირები არ დაუტოვა და ფაქტიურად ფსკერი ამოუღო მდინარე სუფსას ოზურგეთი-ბაილეთი-ჯუმათი-გულიანის გზის სუფსის ხიდის მიმდებარედ. კომპანიას წია-ღის ეროვნული სააგენტოდან არანაირი ნებართვა არ ჰქონდა. არც გარემოს დაცვის შესაბამის სამსახურს და ადგილობრივ მუნიციპალიტეტს არანაირი ზომები არ მიუ-ღიათ ამ ბარბაროსული ქმედების შესაჩერებლად.

რომელ კომპანიაზეც საუბრობდა დაბა ნასაკირალის მაჟორიტარი დეპუტატი? ამის შესახებ წელს ვწერდით: („საბრძოლო პილიგონად ქცეული კარიერი“, „ალიონი“ №3,14 თებერვალი,2022 წ.)

„როგორც ვწერდით, ხელისუფლებამ ერთობლივი საწარმო „POLAT YOL &MAPA“ უფლება მისცა ზღვიდან 20 კილომეტრიან ზოლში, მდინარე ნატანებზე, ისტორიული ვაშნარის ციხექალაქის მიდებარედ, ლიცენზიის გარეშეც მოიპოვოს წიაღი. ამისთვის შარშან, 4 სექტემბერს. სასწრაფოდ შევიდა ცვლილებები 2005 წლის 11 აგვისტოს 136 დადგენილებაში „სასარგებლო წიაღის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების“ .

კერძოდ: — „დაუშვებელია ლიცენზიის გაცემა ინერტული მასალის მოპოვების მიზნით, შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეთა შავი ზღვის შესართავიდან 20 კმ. მანძილზე პირდაპირი ხაზით“

ცვლილება: — „მითითებულ დიაპაზონში ინერტული მასალის მოპოვება ნებადართულია იმ შემთ-ხვევაში, თუ მოპოვება წარმოებს ჭარბი აკუმულაციის უბნებიდან შავი ზღვის ნაპირების ( პლაჟების) აღდგენის მიზნით. მოპოვება დასაშვებია აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული მასალა დასაწყობებულია“ აღნიშნულს ხელს აწერს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია.

სასწრაფო წესით კანონის ცვლილებას წინ უსწრებდა, კომპანია “პოლატის” წერილი 27. 08.2-020 წ. დოკუმენტის **N-TMO**/20/0324, რომელიც გაეგზავნა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. კომპანიამ დაიწუწუნა წიაღი არ მაქვს ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის-თვისო.

გზა უნდა აშენდეს, და გამონაკლისი დაუშვეს, რომელსაც ხელს ამჟამინდელი პრემიერიც აწერს. მდინარე ნატანების აუზში, 20 კილომეტრიან ზოლში ულიცენზიოდ შევიდა „**POLAT YOL &MAPA**, რომელმაც იქ წიაღისეულის მოპოვების უფლება ქვემოიჯარე კომპანის გადასცა და ახლა ვხედავთ, როგორ ბარბაროსულად ექცევიან ისინი ხეობას.“

გაზეთი „ალიონი“ დაუკავშირდა ქვემოიჯარე კომპანიის მენეჯერს იაკობ ლექვინიძეს, რომელმაც გვითხრა, რომ მას დრო არ ჰქონდა ჩვენთან სასაუბროდ.შემდეგ კი ვერ დავუკავშირდით.

ლექვინიძისთვის დასასმელი კი-თხვა, ჰქონდათ თუ არა შესაბამისი გარემოსდაცვითი ნებართვა და წარმოების გეგმა, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ნებართვები—-უპასუხოდ დარჩა.

# კურორტ ბახმაროში ლედ განათების სისტემა დამონტაჟდება



კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგსა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამას შორის 2021 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, კურორტ ბახმაროს ცენტრალურ ქუჩაზე 4.5 კილომეტრის სიგრძის მონაკვეთზე ლედ განათების სისტემა დამონტაჟდება. საპროექტო არეალი დაათვალიერეს „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის, USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა. არსებული მოძველებული ბოძების დემონტაჟისა და ლედ ნათურებით აღჭურვილი ახალი თანამედროვე ბოძების მონტაჟის სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება. პროექტი CCEH-ისა და ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება და „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ სოციალური პროგრამის ნაწილს წარმოადგენს.

— „მოხარულნი ვართ, რომ მოვახერხეთ და მაქსიმალურად მცირე დროში USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამასთან ერთად შევძელით იდეის პროექტად ჩამოყალიბება. უნდა აღვნიშნო, რომ ბევრი ვიმუშავეთ ამ მიმართულებით. გვსურდა, განგვეხორციელებინა პროექტი, რომელიც იქნებოდა ინოვაციური და აუცილებლად მდგრადი, რეგიონისთვის სასარგებლო და ასევე, უპასუხებდა გლობალურ გამოწვევებს. ლედ ტექნოლოგია არის გრძელვადიანი, ის ეკოლოგიური განათების სისტემაა, ძალიან დაბალი, დამზოგველი მოხმარებით. თანამედროვე და ეკოლოგიური ტექნოლოგიები ინოვაციურია რეგიონისთვის და გვახარებს ის ფაქტი, რომ USAID-ისთან ერთად სწორედ ასეთ პროექტს ვახორციელებთ ყველასათვის საყვარელ კურორტ ბახმაროში“ — განაცხადა **მიხეილ ნიბლაძემ,** კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის დირექტორმა.

— „USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამა საქართველოში მჭიდროდ თანამშრომლობს კერძო სექტორთან, ქვეყანაში სუფთა და განახლებადი ენერგიის წყაროების რაციონალური ათვისების, ინვესტიციების წახალისების, მდგრადი ენერგიის მოხმარების, თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის მიზნით. ჩვენ მივესალმებით კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის მიდგომას განახლებადი ენერგიის დარგში ინვესტირების პარალელურად განახორციელოს სხვადასხვა სოციალური და ინოვაციური პროექტები. მოხარულები ვართ, რომ ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგად კურორტ ბახმაროს ცენტრალური ქუჩის ენერგოეფექტური განათების სისტემის მოწყობის პროექტი განხორციელების ფაზაზე გადავიდა და რამდენიმე თვეში შევძლებთ ამ საპილოტე პროექტის წარმატებით დასრულებას“ — განაცხადა **ივანე პირველმა,** USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა.

USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამისა და კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის პარტნიორობა გულისხმობს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის წინსვლის ხელშეწყობას და ამ მიმართულებით, მდგრადი შედეგების უზრუნველყოფას. საკითხისადმი ერთობლივი მიდგომა გულისხმობს, გურიის რეგიონში ინოვაციური იდეებისა და პროექტების წახალისებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კერძო სექტორში ინვესტიციების ზრდას, თანამშრომლობის მიზანია, საქართველოში ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახალი გენერაციის ობიექტების განვი-თარება.

**დაფინანსებული ფართი**

# „ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა

გაცნობებთ, რომ მდინარე ბახვისწყალზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დაგეგმილი „ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგისანგარიშის საჯარო განხილვა, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით **2022 წლის 22 ივნისს** გაიმართება.

თარიღი, დრო და ადგილმდებარეობა ასე განისაზღვრა:

2022 წლის 22 ივნისი

12:00 საათი- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისპირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, შესაბამისად სკოპინგის საჯარო განხილვის ორგანიზატორიც სწორედ ეს უწყებაა.

ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშისსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ჩაბარდა 2022 წლის 2 ივნისს და ოფიციალური გვერდზე გასაჯაროვდა 2022 წლის 6 ივნისს.

გთხოვთ, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული განცხადება იხილოთ შემდეგ ლინკზე: **https://nea.gov.ge/Ge/GZSH/194**

# სუბტროპიკულ ზონაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შეთანაწყობის პრინციპები



უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო სტიქიურად განადგურდა სუბტროპიკული მემცენარეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა მეჩაიეობა. არასტაბილურია მეციტრუსეობისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების მოსავლიანობაც და მათი პროდუქციიდან მიღებული შემოსავლები, დაეცა შესასყიდი ფასები ციტრუსოვანთა ნაყოფებზე, გაძნელებულია კრეფის, ტრანსპორტირების და რეალიზაციის საკითხები. აღნიშნულ პრობლემაზე ჯერ კიდევ 2000-2003 წლებში მეცნიერ-მკვლევარები (რ.კოპალიანი 2003წ.) აყენებდნენ წინადადებებს სუბტროპიკულ ზონაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შესაძლო შეთანაწყობისა და სახეობრივი განახლების აქტუალურ პრობლემებზე. სახელმწიფო ჯერჯერობით ფერმერებს ვერ სთავაზობს შეკვეთებს ამა თუ იმ კულტურათა პროდუქციაზე. არ არსებობს მკვეთრად ჩამოყალიბებული სტრუქტურა თუ სამსახური სუბტროპიკულ კულტურათა წარმოებისა და რეალიზაციის საკითხებში. საბაზრო ლიბერალიზაციის პირობებში ბევრმა ფერმერმა თუ ფიზიკურმა პირმა ყოველგვარი რეკომენდაციების გარეშე გამოუტანა განაჩენი პრივატიზირებულ ნაკვეთებს. პირველ ეტაპზე მათ ამოძირკვეს ჩაის პლანტაციები, ზოგან ციტრუსების ნარგაობაც კი და იწყეს სამარცვლე და ბოსტნეული კულტურების (სიმინდი, კარტოფილი) თესვა. თუმცა მალე დარწმუნდნენ იმაში, რომ 2-3 წლის შემდეგ ნაჩაიარი მჟავე ტიპის ნიადაგები-სპეციალური ქიმიური მელიორაციისა და სრულყოფილი განოყიერების გარეშე გამოუსადეგარია ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად. 1996-2000 წლებში თხილის პროდუქციაზე მაღალი შესასყიდი ფასების გამო მოსახლეობამ მასობრივად დაიწყო თხილის გაშენება, თუმცა იყო პერიოდი (2000-2003წ.) როდესაც თხილის პროდუქციაზე ფასები მკვეთრად დაეცა. 2014 წელს, თურქეთში თხილის დაბალი მოსავლიანობის გამო, ფასებმა ისევ აიწია, ამდენად, უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში თხილის კულტურას ეკონომიკურ სიდუხჭირეში მყოფი მოსახლეობა სტიქიურად აშენებდა ნიადაგის ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და მეცნიერული რეკომენდაციების გარეშე. ნაჩაიარ მჟავე ნიადაგებზე თხილი 4-5 წლის შემდეგ კნინდება და უნაყოფო ხდება. ჯერ კიდევ ადრე (2005წ.) ვიუწყებოდით, რომ თხილის პლანტაციების სტიქიურად გაშენებამ შესაძლებელია, გარკვეულ უკიდურესობამდეც მიგვიყვანოს. კლიმატური რისკებისა და მავნებელ-დაავადებათა მასობრივი გავრცელების შემთხვევებში მოსალოდნელია პლანტაციების მასიური განადგურება. მოლოდინმაც არ დააყოვნა, როდესაც 2016, 2017, 2018 წლებში მავნებელ აზიურ ფაროსანას მასიურმა შემოსევამ , სხვა დაავადებათა გააქტიურებამ თხილის მოსავალი და ხარისხი მკვეთრად შეამცირა. მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც თხილის კულტურაში 7-8 ჯერადი წამლობით განისაზღვრება, ხშირ შემთხვევაში, არარენტაბელურიც კი გახადა კულტურის წარმოება. სამაგიეროდ გამოჩნდა ახალი კულტურები, კენკროვნები-განსაკუთრებით ლურჯი მოცვი- რომლის საექსპორტო საბაზრო ღირებულება მაღალი და მოთხოვნადია. მითუმეტეს, როდესაც აღნიშნული კულტურა კარგად ხარობს მჟავე ტიპის ნიადაგებზე, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა დაიწყო თხილის კულტურის ლურჯი მოცვით ჩანაცვლება. როდესაც ბაზარი გაჯერდება, ალბათ, მოსალოდნელი იქნება ამ კულტურის სხვა კულტურით ჩანაცვლება და ა.შ.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ვაანალიზებთ რა ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას, დღეისათვის აუცილებელია, მოსახლეობას მივაწოდოთ ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და სოციალურად ეფექტური, მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შესაძლო შეთანაწყობაზე, მათი სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით.

ვეყრდნობით რა აგრარიკოს მეცნიერთა მრავალწლიან გამოკვლევებს ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მიმართ, ასევე ვითვალისწინებთ რა სუბტროპიკული ზონის ნიადაგურ-კლიმატურ მაჩვენებლებს და კულტურათა ბიოეკოლოგიურ თავისებურებებს, გლეხურ-ფერმერულ მეურნეობებს ვთავაზობთ მათზე რიცხული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაშენიანების სანიმუშო პროგნოზულ სქემას (ცხრ. 1). ჩვენ მიერ მოყვანილ სქემაში წარმოდგენილია ოთხი რეგიონი: აჭარა, გურია, სამეგრელო, იმერეთი. ჩვენს სქემაში ჩაის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს მიკუთვნებული, მითუმეტეს ეს კულტურა ოთხივე რეგიონში შესაძლებელია გაშენდეს. ციტრუსების გაშენების არეალი კი შეზღუდულია. მეციტრუსეობის ზონად ძირითადად აჭარის რეგიონია გამოცხადებული, მცირედი ფართობებით ეს კულტურა შესაძლებელია ღია გრუნტის პირობებში მოვიყვანოთ გურიისა და სამეგრელოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში.

**ფერმერულ მეურნეობებში სუბტროპიკულ და სხვა კულტურების ქვეშ დაკავებული ფართობების პროგნოზული სქემა**

| კულტურები | [illegible] | | | |
|---|---|---|---|---|
| | აჭარა | გურია | სამეგრელო | იმერეთი |
| ჩაი | 10 | 20 | 25 | 10 |
| ციტრუსი | 40 | 10 | 5 | - |
| თხილი | 10 | 20 | 25 | 20 |
| ლურჯი მოცვი, კლდის მაყვალი | 5 | 7 | 8 | 10 |
| აქტინიდია | 2 | 3 | 3 | 2 |
| ფეიჰოა | 3 | 3 | 3 | 2 |
| სუბტროპიკული ხურმა | 4 | 5 | 5 | 10 |
| დაფნა | 5 | 5 | 7 | 10 |
| ბამბუკი | 2 | 2 | 1 | - |
| ვაზი | 5 | 4 | 4 | 10 |
| მარცვლოვანი კულტურები | 5 | 6 | 5 | 10 |
| კონტინენტური ხეხილი | 3 | 3 | 3 | 8 |
| ბოსტან-ბაღჩეული | 4 | 4 | 4 | 10 |
| სხვა კულტურები | 3 | 2 | 2 | 2 |
| სულ | 100% | 100% | 100% | 100% |

მესამე პოზიციას თხილი იკავებს, აღნიშნული კულტურა თავისი საექსპორტო ღირებულების გამო ფართოდაა წარმოდგენილი კულტურათა შეთანაწყობის ასორტიმენტში. მეოთხე ადგილს თანდათან კენკროვნები (განსაკუთრებით, ლურჯი მოცვი) იკავებენ. აღნიშნული კულტურები ბოლო ათწლეულში სერიოზული კონკურენტები ხდებიან ჩაის, ციტრუსების, თხილის, თუმცა აქაც მოსახლეობა არ უნდა არღვევდეს სუბტროპიკულ კულტურათა თანაარსებობის პრინციპებს, რომელიმე კულტურის სასარგებლოდ. საექსპორტო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, სერიოზულ განაცხადს აკეთებს დაფნის კულტურაც, საქართველოსათვის ამ ტრადიციულ კულტურას მრავალი სიკეთის მოტანა შეუძლია. რაც შეეხება ფეიჰოას და აქტინიდიას ისინი მცირე ფართობით მაგრამ, სტაბილურად აგრძელებენ თავიანთ თვითმყოფადობას. რაც შეეხება სხვა ტრადიციულ კულტურებს (მარცვლოვნებს, ბოსტნეულს, კონტინენტურ ხეხილოვნებს) ისინი ყოველთვის არის და იქნება ჩვენი სავარგულების განუყოფელი წარმომადგენლები. აქვე გამოვყოფდით ვაზის კულტურას, რომლის მიმართ ბოლო წლებში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს მოსახლეობა, როგორც საკუთარი სამომხმარებლო დანიშნულებისათვის, ასევე, საექსპორტო მიზნებისათვის.

სუბტროპიკულ კულტურათა განაშენიანების პროცესში აუცილებელია, ფერმერმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ ძირითადი მალიმიტირებელი ფაქტორების მნიშვნელობებს, რომლებიც განსაზღვრავენ მცენარეთა სასიცოცხლო ფუნქციებს. ასეთ ფაქტორს წარმოადგენს ყინვაგამძლეობა, ანუ ის აბსოლუტური მინიმუმი, რომელიც დამღუპველია ამა თუ იმ კულტურისათვის.

ამრიგად, სუბტროპიკულ კულტურებს შორის ყველაზე დაბალი ყინვაგამძლეობით ციტრუსოვნები ხასიათდებიან, რის გამოც მათი სამრეწველო გაშენების არეალი ძალზე შეზღუდულია. (ცხრ.2).

**ძირითად სუბტროპიკულ კულტურათა ყინვაგამძლეობის მაჩვენებელი**

| კულტურების დასახელება | დაზიანების კრიტიკული ტემპერატურა $0^{\circ}C$ | | |
|---|---|---|---|
| | სუსტი | ძლიერი | მცენარის დაღუპვა |
| ლიმონი | -4-5 | -6-7 | -8-9 |
| ფორთოხალი | -5-7 | -8 | -10 |
| მანდარინი | -7-8 | -10 | -12 |
| ჩაი | -9-10 | -15 | -18-20 |
| აქტინიდია | -9-10 | -13 | -15-16 |
| თხილი | -18 | -22 | -25 |
| ლურჯი მოცვი | -15 | -20 | -25 |
| ფეიჰოა | -10 | -15 | -18 |
| დაფნა | -9-10 | -14 | -18 |
| სუბტროპიკული ხურმა | -15 | -20 | -25 |
| ბამბუკი | -13 | -18 | -24 |
| ვაზი | -18 | -22 | -25 |
| კონტინენტური ხეხილი | -18 | -24 | -25-27 |

რაც შეეხება ჩაის კულტურას, მიუხედავად მაღალი ყინვაგამძლეობისა, მისი გავრცელების მალიმიტირებელ ფაქტორს ნიადაგის არეს რეაქციის მაჩვენებელი წარმოადგენს. ჩაის კულტურისათვის გამოსადეგი მხოლოდ მჟავე რეაქციის მქონე წითელმიწა, გაეწერებული წითელმიწა, ეწერმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებია, რაც სუბტროპიკული ზონის ოთხივე რეგიონში საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. ასევე, განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ნიადაგის არეს რეაქციას ლურჯი მოცვი (პ -4-5). სხვა კულტურები ნიადაგის პ -ის მიმართ მკაცრი მოთხოვნებით არ ხასიათდებიან, თუმცა ქიმიური მელიორაციის დახმარებით, შესაძლებელია, მჟავე ნიადაგებზე ამა თუ იმ კულტურას მათთვის სასარგებლო ფონი შეუქმნათ.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ფერმერულ მეურნეობათა სავარგულები სუბტროპიკულ ზონაში მონოკულტურით იქნას დაკავებული, როგორც ეს გასულ საუკუნეში ჩაის კულტურით და 21-ე საუკუნის დასაწყისში თხილის კულტურით დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ წარმოდგენილ პროგნოზულ სქემაში პრიორიტეტული ადგილები ჩაის, ციტრუსებს, თხილს, დაფნას და ლურჯ მოცვს უკავიათ. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ ტრადიციულად, ჩაის, ციტრუსების და დაფნის პროდუქციაზე ყოველთვის იყო და პერსპექტივაშიც იქნება საბაზრო-საექსპორტო მოთხოვნილება. აღნიშნულ კულტურებს თხილი და ლურჯი მოცვი დაემატა, რაც, ვიმედოვნებთ, ფერმერთა ვალუტით უზრუნველყოფის ძირითადი საშუალება გახდება. ასევე, მნიშვნელოვანი იქნება აქტინიდიის, ფეიჰოას, სუბტროპიკული ხურმის, პეკანის, კაკლის, ბამბუკის და სხვა კულტურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები. რაც შეეხება მარცვლეულს, ბოსტან-ბაღჩეულს, ვაზს, კონტინენტურ ხეხილოვან კულტურებს, ისინი აუცილებელია შიდა მოხმარების დასაკმაყოფილებლად, მეცხოველეობის გასავითარებლად.

გარდა გლეხურ-ფერმერული მეურნეობებისა, ქვეყანაში თანდათან ფართოვდება კოოპერატივების, კომპანიების, ასოციაციების ფუნქციონირება, რომელთა მიზანი და ამოცანა მსხვილმასშტაბიანი სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო პროდუქციის წარმოებაა. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, სპეციალიზებული მეურნეობების შექმნა-ფუნქციონირება საკმაოდ დიდ ფართობებზე, თუმცა ძირითად კულტურათა წარმოების გვერდით სასურველი და მიზანშეწონილი იქნებოდა, სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებაც.

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შეთანაწყობისა და განაშენიანების მოდელი ფერმერს საშუალებას აძლევს, მთელი წლის განმავლობაში აწარმოოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, არ მოაცდინოს მუშახელი და უზრუნველყოს მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების სტაბილური მდგომარეობა. მაგალითად, თუ ფერმერი ან კომპანია დასაქმებულია მხოლოდ კენკროვნების წარმოებით, ასეთ შემთხვევაში, მუშახელის დასაქმებისა და ანაზღაურების პიკური პერიოდი 2-3 თვით განისაზღვრება (ივნისი, ივლისი, აგვისტო). წლის დანარჩენ პერიოდში დამხმარე მუშახელი სხვა საქმით უნდა დაკავდეს, ან უმუშევარი დარჩეს. არის სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლებიც თითქმის მთელი წლით მუშახელის დასაქმებას საჭიროებს (ჩაის კულტურა). არის კულტურები, სადაც მუშახელის მაქსიმალური დასაქმება შემოდგომა-გაზაფხულის პერიოდშია აუცილებელი (დაფნის მოსავლის აღება-გადამუშავება). ასევე, ციტრუსოვანი კულტურები, სადაც მუშახელის მობილიზაცია მოსავლის აღება-რეალიზაციის პერიოდს (ნოემბერი-იანვარი) ემთხვევა. თუკი ყველა ეს კულტურა ერთი კომპანიის, კოოპერატივის მფლობელობაში იქნება, სწორედ, ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი ადამიანთა მთელი წლის მანძილზე დასაქმების ორგანიზაცია და მათ მიერ შრომის შედეგად მიღებული ანაზღაურების ზღვრული ან მაქსიმალური დონის მიღწევა.

სუბტროპიკულ ზონაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ფართო ასორტიმენტით წარმოება, ასევე, საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ან მინიმუმამდე შევამციროთ ზოგიერთ წლებში მკაცრი კლიმატური პირობებით (ზამთრის ყინვები, საგაზაფხულო წაყინვები, სეტყვა, გვალვა და სხვა) გამოწვეული ზარალი. ასევე, მხედველობაშია მისაღები მავნებელ-დაავადებათა მასიური გავრცელების პირობებში (მაგალითად: თხილზე ამერიკული პეპელა, აზიური ფაროსანა და სხვა) ზარალის მინიმუმამდე დაყვანა, რასაც, სამწუხაროდ, ვერ მივაღწევთ ერთი, ანუ მონიკულტურის წარმოების შემთხვევაში.

კულტურათა ფართო ასორტიმენტით წარმოება მნიშვნელოვანია ეკოლოგიური თვალსაზრისითაც. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გლეხურ და ფერმერულ მეურნეობათა უმეტესობა გორაკ-ბორცვიან ზონებშია განლაგებული, სადაც, ბუნებრივია, შეგვხვდება ფერდობები, ვაკე ადგილები, ხევები. კულტურათა განაშენიანების დროს მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ ცალკეულ მცენარეთა ბიოეკოლოგიური მოთხოვნილება ადგილმდებარეობის ექსპოზიციისა და მიკროკლიმატის მიმართ. მაგალითად: ჩაი, ციტრუსი, თხილი შესაძლებელია, გავაშენოთ ფერდობ ადგილებზე, რითაც ვუზრუნველყოფთ ეროზიული მოვლენების შემცირებას ან თავიდან აცილებას. განსაკუთრებით ყურადსაღებია ციტრუსოვანთა (მანდარინი, ფორთოხალი) სამხრეთ ან სამხრეთ-დასავლეთ ექსპოზიციის ფერდობებზე გაშენება, ასეთ პირობებში მცენარის ვარჯის მიერ სრულყოფილად ხდება სივრცული (განათება, ჰაერაცია) არქიტექტურის მაქსიმალურად გამოყენება და ნაყოფის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. აქტინიდია, ვაზი, ფეიჰოა, კენკროვნები, ბოსტან-ბაღჩეული, მარცვლეული უმჯობესია, ვაკე ან ოდნავ დაქანებულ ადგილებზე გავაშენოთ. ბამბუკი, დაფნა, პეკანი, წყავი და სხვა კულტურები შესაძლებელია, გავაშენოთ ჩაღრმავებულ, ხევისპირა ადგილებში. ხეხილოვანი კულტურები, ცალკეული ნარგავების სახით, უმჯობესია გაშენდეს ძირითადი კულტურების მიჯნაზე, ცენტრალური ან საბილიკო გზების გასწვრივ, რომლებიც ძირითად ფუნქციასთან ერთად ქარსაფარისა და საჩრდილობელი მცენარეების დანიშნულებასაც შეასრულებენ. ჩვენ მიერ შემოთავაზებული სქემიდან გამომდინარე, კულტურათა ფართო ასორტიმენტით წარმოების შემთხვევაში შესაძლებელია, მიღებული იქნეს მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები. თუმცა ყოველწლიურად მზარდი ფასები საწვავზე, პესტიციდებზე, სასუქებზე უარყოფითად აისახება წარმოების მოცულობებსა და მასშტაბებზე.

გარდა ეკონომიკური დანიშნულებისა, სუბტროპიკული კულტურების ერთობლიობა ქმნის რა ჩვენთვის სასურველ ეკოლოგიურ კონგლომერატს, გარკვეულ ეგზოტიკურ სიამოვნებასაც ანიჭებს ადამიანს, უცხოელ ტურისტებს. ვიმედოვნებთ, რომ ფერმერებს, კომპანიებს, ამ დარგის მეცნიერებსა და სპეციალისტებს ეყოფათ სიბრძნე და გამოცდილება და არ დაუშვებენ ამ კულტურათა თანაარსებობის ასწლიანი ისტორიის უგულვებელყოფას, რომელიმე ერთი ან ორი კულტურის ხარჯზე. უნდა ვაღიაროთ, რომ დღევანდელი ფერმერი ნაკლებად არის გათვითცნობიერებული ბიზნესისა და საბაზრო ეკონომიკის საკითხებში. მათ ვერ გადაუდგამთ გაბედული ნაბიჯი თავიანთი მეურნეობების რეორგანიზაციაზე. ბევრი მათგანი ცხოვრობს ,,დღევანდელი კვერცხის“ პრინციპით. დღის წესრიგში დგას მათი მომზადება-გადამზადების აუცილებლობა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, სათანადო ლიცენზიის ან სერტიფიკატის მინიჭების უფლებითაც კი.

2019-2022 წლებში მსოფლიოში განვითარებული მძიმე მოვლენების გამო (კოვიდ ვირუსის პანდემია, რუსეთ-უკრაინის ომი) შესაძლებელია ჩვენს პროგნოზულ სქემაშიც გარკვეული კორექტირება იქნას შეტანილი. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მიზნით მარცვლეულ კულტურების წარმოების უპირობო ზრდას, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა იქნას ათვისებული სამარცვლედ ვარგისი ფართობები. თუმცა აღნიშნული კულტურების (ხორბალი, სიმინდი) წარმოება ხელს ვერ შეუშლის ძირითადი სუბტროპიკული კულტურების წარმოების მოცულობებს, რადგან მათი თესვა-მოყვანა შესაძლებელია მთელი საქართველოს მასშტაბით.

**ზაურ გაბრიჩიძე**
სმმ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**ნიკა გუნთაძე**
მაგისტრი
სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო

# ავთანდილ მამალაძე ბუქარესტიდან ვერცხლის მედლით დაბრუნდა



რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მიმდინარე ბერძნულ-რომაული სტილით 17-წლამდელ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდა ოზურგეთელი **ავთანდილ მამალაძე.** იგი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანია.

ავთანდილ მამალაძე, რომელიც 60 კგ. წონით კატეგორიაში გამოდიოდა, ფინალის გზაზე იტალიელი ფედერიკო სერჯიო კანილია (10:0), ლიეტუველი ეიმანტას ანდრიუშკა (4:0), ჩეხი მარტინ კიჩი (15:7) და ავსტრიის ნაკრების წევრი ისა ბეკტემიროვი (10:1) ჩამოიშორა.

15 ივნისს, ავთანდილ მამალაძე საჩემპიონო ბრძოლაში აზერბაიჯანელ ვადატ გასიმზადეს შეხვდა და საფინალო ბრძოლა დათმო.ავთანდილ მამალაძე შინ ვერცხლის მედლით ბრუნდება!

ვულოცავთ ავთანდილს ღირსეულ მეორე ადგილსა და ვერცხლის მედალს!

ავთანდილ მამალაძე ევროპის პირველობისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულ ჭიდაობის სექციაში ემზადებოდა. პირადი მწვრთნელი – *კახაბერ აბაშიძე.*

საქართველოს ნაკრებიდან ანრი ხოზრევანიძე (51 კგ.) და ვახტანგ ლოლუა (48 კგ.) ევროპის ჩემპიონები გახდნენ. საბა სურმანიძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი მოიპოვეს

ფინალში ანრიმ აზერბაიჯანელი ვადატ გასიმლი 4:1 დაამარცხა, ხოლო 14 წლის ვახტანგ ლოლუამ ფინალში ასევე აზერბაიჯანელი ელვინ იბადოვი დაამარცხა (4:1) და ოქროს მედალს დაეუფლა.

# მწერალი დათო ტურაშვილი-სკოლის სტუმარი

მოულოდნელი და ექსპრესიული იყო საყვარელი მწერლის **დათო ტურაშვილის** სტუმრობა ჩვენს სკოლაში. ეპიდემიის გადამკიდეებს მოგვენატრა ცოცხალი სიტყვის მოსმენა. მწერალი ჩვენი სკოლის დირექტორის ქალბატონი რუსუდან ცეცხლაძის თანაკურსელი აღმოჩნდა... ამ ამბავმაც შექმნა თბილი და უშუალო, გულწრფელი ადამიანური ურთიერთობებით გამთბარი შეხვედრა. როგორც ქალბატონმა რუსუდანმა თქვა:,,ის ისეთივე ახალგაზრდული და ქარიზმატულია... წლებს ამარცხებს ახალგაზრდული შემართებით, მკვრიცხლი საუბრითა და იუმორით, რაც, როგორც თვითონ აღიარა, გურული გენეტიკის დამსახურებაა"... მას იოლად შეუძლია მკითხველს, განურჩევლად ასაკისა, შეაყვაროს თავი, დააფიქროს არამხოლოდ წარსულზე, არამედ დღევანდელი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე, გააზრებინოს თავისუფლების არსი და ის გამოწვევები ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე რომ დგას.

შეხვედრის მთავარი თემა მაინც წიგნი და მისი მნიშვნელობა იყო. მწერლის ჩანაფიქრი იმთავითვე გამოიკვეთა- ბავშვებმა შეიყვარონ წიგნი და ღრმად ჩაწვდნენ იმ სულიერ ღირებულებებს, რომლებსაც კითხვის საშუალებით ვეწაფებით. მან გაიხსენა თავისი შემოქმედებითი გზის საწყისი და შემდგომი ეპიზოდები, ასევე 80-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის მტკივნეული ეპიზოდები, როდესაც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თავადაც აქტიურად იყო ჩაბმული.

დათო ტურაშვილმა აღიარა, რომ ახალგაზრდებისათვის დედაქალაქში ცხოვრება არაა მთავარი, პირადი სივრცის კეთილმოწყობა და ქვეყნის ინტერესებისთვის ბრძოლა, სოფელშიც შეუძლია ნებისმიერ ქართველს. ამიტომ სწავლაზე დიდი იარაღი არაფერია... ყველგან შეიძლება ადამიანი გახდეს წარმატებული. ჩემი აზრით, მსგავსი შეხვედრები მოსწავლეებში წიგნისადმი ინტერესს აღვივებს, რაც 21-ე საუკუნის ერთ-ერთი უპირველესი გამოწვევაა. წიგნი და განათლება თუ გადაგვარჩენს ისტორიული კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქაში, სამწუხაროდ, სულიერი ღირებულებებისაგან დაცარიელებულ სამყაროში ბევრს უჭირს თავისი ადგილის პოვნა.



ეს დღე დატვირთული იყო ემოციებითა და სიახლეების გაგების სურვილით, რადგან, მართლაც, საოცარი განცდაა ,შეხვდე საყვარელ მწერალს, მოისმინო მისეული მოგონებები, გაიგო მისი შეხედულებები და არ გაგიჩნდეს მასთან კვლავ შეხვედრის სურვილი. პედაგოგებთან ერთად სოფლის ბიბლიოთეკარსა და რამდენიმე მშობელსაც მიეცა შესაძლებლობა ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების მსმენელი და მონაწილე ყოფილიყო. მადლობას ვუხდით ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირს მხარდაჭერისა და ,,იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის" წევრებს ინიციატივისთვის, რომ აგვისრულდა ნატვრა ,,ჯინსების თაობის" ავტორს შევხვედროდით.

როგორც ითქვა, შემოდგომაზე ნიკა წულუკიძესთან ერთად კვლავ გვეწვევა ბატონი დათო ტურაშვილი. მოუთმენლად ველით მათ მობრძანებას იმ სკოლაში, რომელიც მუდამ მზადაა მოისმინოს აზრიანი და მართალი სიტყვა, უმასპინძლოს სახელოვან ქართველებს.

**მაგდა ცირდავა,**
შრომის საჯარო სკოლის 2022 წლის კურსდამთავრებული.

# ეკატერინე გურიელის მარტვილობა




**შესავალი**

გურიის სამთავრო საქართველოს სამეფოს დაშლის პერიოდში წარმოიშვა გურიის საერისთავოს ტერიტორიაზე. იგი მოიცავდა ქობულეთ-ჩაქვის ქედს, შავიზღვისპირეთის გარკვეულ ნაწილს, მდინარე რიონის ქვემო ნაწილსა და მდინარე ჭოროხის შესართავს შორის მდებარე მხარეს.

XV–XVII საუკუნეებში გურიის სამთავროში ზოგჯერ შედიოდა აჭარა და ჭანეთის ჩრდილოეთი ნაწილი (გონიოს მხარე). სამთავროს გურიელები განაგებდნენ და რეზიდენცია ოზურგეთი იყო.

მამია V გურიელის დროს სამთავროში გაუმჯობესდა მმართველობის სისტემა. ოზურგეთში გაიხსნა სკოლა, სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისთვის გურიელმა შემოიღო ყოველწლიური

იარმარკა (,,მარინეობა‘‘) სოფელ ნაგომარში. ხშირად იწვევდა მსახიობებს და მუსიკოსებს ევროპის ქვეყნებიდან, ჩაატარა დიდი სამშენებლო სამუშაოები, სამთავროში ფეხი მოიკიდა შინა მრეწველობამ. ეკატერინე ბატონიშვილი, გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V გურიელის უფროსი შვილი, დაახლოებით უნდა დაბადებულიყო 1812 წელს, სოფელ ნაგომარში. მამია V, 1810 წელს, ცოლად შეირთო სოფიო გიორგის ასული წულუკიძე (სოლომონ მეორის ბიძაშვილი დედის მხრიდან). პროფესორი იური სიხარულიძე გადმოგვცემს:

,,ნაგომარს მამია V მშვენიერი სასახლე აგო მდინარე სუფსის მარცხენა სანაპიროზე, სადაც იშვა მისი ყველა შვილი‘‘. ნაგომარი გურიელების საზამთრო საცხოვრებელი იყო, მაგრამ მამიამ დროებით იქ გადაიტანა სამთავროს ცენტრი და ზამთარ-ზაფხულ იქ იმყოფებოდა, ვიდრე ოზურგეთს არ დაამშვენებდა ახალი სასახლით და სხვა ევროპული ნაგებობებით. მამია ნაგომარში მარტოოდენ სასახლით არ დაკმაყოფილდა და სასახლის ახლოს სასნეულო სახლიც (ქსენონი) ააგო. ამ დაწესებულებამ, მთავრის სიკვდილის შემდეგ, კარგა ხანს იარსება და XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს გაუქმდა. სასახლეც და ქსენონიც ნაგომრის ციხის გალავანში იყო აგებული. ნაგომრის სასახლეშივე გარდაიცვალა მამიას დედა – მარინე წერეთელი 1814 წელს (იური სიხარულიძე). ეკატერინეს დედა – სოფიო, რაჭის ერისთავ გიორგი წულუკიძის ასული იყო. მამია V გურიელს და სოფიოს ჰყავდათ ოთხი ქალი და ერთი ვაჟი: ეკატერინე, ტერეზია, კოჭიბროლა, სოფიო და დავითი. 1810 წლის 19 ივნისს ოქროსქედის საყდარში (ასკანა), მამია V გურიელმა რუსეთის ქვეშევრდომობაზე ხელი მოაწერა. სამწუხაროდ, მამია გურიელი რუსეთის პოლიტიკის მსხვერპლი გახდა, რომლის მიზანი იყო გურიის სამთავროს გაუქმება და მამია V თავიდან მოცილება. მამია გურიელი თავგამოდებით იბრძოდა გურიის სამთავროს ერთიანობისა და თავისი პრივილეგიების შესანარჩუნებლად. 1822 წლის იანვარში იგი პირადად ეახლა თბილისში ერმოლოვს. 23 იანვარს ერმოლოვმა მის საპატივსაცემოდ წვეულება გამართა. გურიელი მთავარმართებელს ქართული ტანსაცმლით, რუსეთის არმიის გენერლის მუნდირითა და ეპოლეტებით, ლენტითა და წმინდა ანნასა და წმინდა ვლადიმირის ორდენებით შემკული ეწვია. ნ. მურავიოვის სიტყვით, გურიელი მაღალი და კარგი გარეგნობის კაცი ყოფილა. 24 იანვარს ასეთივე წვეულება გაუმართა კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის უფროსმა, გენერალმა ველიამინოვმაც. 26 იანვარს ერმოლოვმა გურიელის პატივსაცემად გენერალ მადათოვთან გამართა მეჯლისი (ბალი), ხოლო 28 იანვარს თბილისის გუბერნატორმა ხოვენმა მიიწვია წვეულებაზე. ამ შეხვედრებზე კარგად გამოიკვეთა გურიელის დიპლომატიური ხასიათი. 1824 წელს, მამია გურიელი თავის თბილისის სასახლეში (იმ დროს ავლაბარში საკუთარი სასახლეები ჰქონდათ დადიანსა და გურიელს – ქველი ჩხატარაშვილი) ცუდად გახდა და თითქმის ორი წელი ავადმყოფა. 1826 წლის 21 ნოემბერს იგი ოზურგეთის სასახლეში გარდაიცვალა.

სოფიო დედოფალმა მრავალგზის სთხოვა კავკასიის მთავარმართებელს ექიმის გამოგზავნა. ექიმი გამოგზავნეს, მაგრამ დაგვიანებით. ამ დროს ტახტის მემკვიდრე დავითი რვა წლის იყო. დედოფალმა სოფიომ მესამე დღესვე, ისე, რომ არ დაელოდა რუსული ხელისუფლების ნებართვას, გურული თავად-აზნაურობა თავისი და დავით ბატონიშვილის ერთგულებაზე დააფიცა, ასკანისა და ლეხაურის ციხეები გაამაგრებინა და ამის შემდეგ აცნობა მთავარმართებელ ერმოლოვს მეუღლის გარდაცვალების ამბავი.

## დედოფალი სოფიო

ტიტული დედოფალი მხოლოდ მეფის მეუღლეებს ეკუთვნოდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველო წვრილ სამეფოებად და სამთავროებად დაიყო, მას განურჩევლად იყენებდნენ როგორც დედოფლები, ისე მთავრის მეუღლეები, ეს უკანასკნელნი – თავიანთი ქმრების მიბაძვით, რომლებიც თავს ხელმწიფეებად იხსენიებდნენ (დიმიტრი ბაქრაძე).

მამია V გურიელის გარდაცვალების შემდეგ, იწყება დედოფალ სოფიოს მტკიცე ჩარევა სამთავროს საქმიანობაში შელახული ეროვნული უფლებების დასაცავად.

საქართველოს მთავარმართებლის, გენერალ ერმოლოვის რწმუნებული, პოლკოვნიკი ბებუთოვი (იმერეთისა და გურიის საქმეების გამგებელი) დედოფალ სოფიოსადმი მტრულად იყო განწყობილი. იგი მიმართავდა მთავარმართებელს, რომ დედოფალ სოფიოს მმართველობითი ფუნქციები უნდა ჩამოერთვას და საჭიროა დაარსდეს ,,დროებითი მმართველობის საბჭო‘‘, დედოფალი სოფიო და მემკვიდრე დავითი მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებულიო. დედოფალს რუსული პოლიტიკის ზრახვანი არ გამოპარვია და თავიდანვე თადარიგი დაიჭირა. გურიის სამთავროს ერთგულნი, დავით მაჭუტაძის მეთაურობით, შემოიკრიბა და ქვეყნის გასამაგრებლა გაბედული ნაბიჯები გადადგა. ჯერ კიდევ საყვარელი მეუღლე და მთავარი გამოტირებული არ იყო, რომ დედოფალმა მამიას ცხედრის წინაშე გურიის წარჩინებულებს თავი მოუყარა, მათ მცირეწლოვანი (8 წლის) დავითი წარუდგინა და გურიის სამთავროსადმი ერთგულების ფიცი მიაღებია. სოფიომ კარგად იცოდა, დაყოვნებას და ლოდინს რა მოჰყვებოდა. მას ,,ურჩევდნენ‘‘, რომ ხელმწიფისაგან უნდა მოსულიყო მემკვიდრის დამტკიცების ,,გრამოტა‘‘ და ფიცი ხალხს ამის შემდეგ უნდა მიეღო. ამას მოითხოვდნენ გურიის ერისთავები ვახტანგ ერისთავის მეთაურობით, რომლებიც ბებუთოვ-ერმოლოვისაგან მეტ წყალობას მოელოდნენ, ვიდრე სოფიოსგან. მიუხედავად ამისა, გურიის კანცლერმა და სახლთუხუცესმა დავით მაჭუტაძემ (რომელსაც მიემხრნენ ნაკაშიძეები, თავდგირიძეები, გუგუნავები და საერთოდ გურულ წარჩინებულთა დიდი უმრავლესობა), გურ-იის სამღვდელოებამ და ხალხმა დედოფლისა და მემკვიდრის წინაშე საზეიმო ფიცი დადეს ერთგულებაზე. სოფიოს ამ ნაბიჯმა ერმოლოვი წყობიდან გამოიყვანა და იგი განაწყენებული დედოფალს წერდა:

,,ჩვეული ვიყავით რა თქვენს განსვენებულ მეუღლესთან გულახდილობას, დაუფარავად უნდა მოგახსენოთ,რომ თქვენ საკმაოდ მოუსაზრებლად მოიქეცით, როცა ხალხი თქვენი მეუღლის გარდაცვალების მესამე დღესვე დააფიცეთ, ამით თქვენ ცდილობდით საჩქაროდ გამოგევლინებინათ უნდობლობა რუსეთის მთავრობისადმი, რისთვისაც ჩვენ არანაირი საბაბი არ მოგვიცია. ყველაფერი ეს (დაფიცება) თავისთავად მოხდებოდა, როცა თქვენი ვაჟი, ხელმწიფის ბრძანებით, გურიის მთავრად იქნებოდა დამტკიცებული‘‘. (თამარ პაპავა – ,,დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში‘‘, გვ.342).

პოლკოვნიკი ბებუთოვი სასწრაფოდ ოზურგეთში მოვიდა და ხელი მოჰკიდა ,,დროებითი საბჭოს‘‘ შექმნას. დედოფლის მიერ ,,საბჭოს‘‘ წევრებად დანიშნული იყვნენ: სახლთუხუცესი დავით მაჭუტაძე, სვიმონ გუგუნავა, გიორგი ნაკაშიძე გიორგი თავდგირიძე და გიორგი ერისთავი.

**მანანა ლომაძე**

# ოზურგეთის თეატრმა ხერსონის ყოველწლიურ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო



ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ხერსონის ყოველწლიურ ფესტივალში-,,MELPOMENA TAVRIA 2022" მონაწილეობა მიიღო სპექტაკლით ,,დედაომი"

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი მსოფლიოს 11 ქვეყნის 34 ქალაქიდან ის ერთ-ერთი თეატრი გახლავთ, რომელმაც უკრაინის XXIV საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში ,,MELPOMENA TAVRIA 2022" მიიღო მონაწილეობა და მათ მიმართ სოლიდარობა კიდევ ერთხელ გამოხატა.

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასო ჩიგოგიძემ ხერსონის თეატრის გენერალურ დირექტორს ალექსანდრე კნიგას მადლობა გადაუხადა, რომ მან უკრაინაში არსებული ვითარების მიუხედავად, XXIV საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს ,,MELPOMENA TAVRIA" ორგანიზება დევნილობაში მყოფმა გაუკეთა (შტაბბინა დღეს ლვოვშია) - და აღნიშნულით მსოფლიო თეატრებს სოლიდარობის გამოხატვის საშუალება მისცა.

თეატრის ექსპერიმენტულ სივრცეში გამართულ სპექტაკლზე ,,დედაომი" (დ. თავაძე, რეჟ. ს. ასლამაზიშვილი) მოწვეული იყვნენ უკრაინელი მოქალაქეები, ომის ვეტერანები და ის ადამიანები ვისაც სპექტაკლზე დასწრებით უნდოდათ უკრაინის მიმართ მხარდაჭერა გამოეხატათ.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ ძიმითის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა უკრაინული ცეკვა შეასრულეს, თეატრის ადმინისტრაციამ კი სპექტაკლზე მყოფ უკრაინელ მოქალაქეებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

## სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ნუგზარ, თამარ სარჯველაძეები; შვილიშვილები ანდრო, გრიგოლი, ანა; რძალი მარინა დოლიძე; სიძე ვახტანგ მგელაძე; დები ეთერი, ლამარა, კლარა იუწყებიან რომ გარდაიცვალა
**ზაირა ალექსანდრეს ასული სკამკოჩაიშვილი სარჯველაძისა.**
პანაშვიდი 20.06. 17 სთ;
დაკრძალვა 21.06. 15 სთ. (გამოსვენება სოფ. ბოხვაურის წმინდა სოფიოს სახელობის ტაძრიდან)

გაზეთ ,,ალიონის" რედაქცია თანაუგრძნობს ნუგზარ სარჯველაძეს დედის **ზაირა სკამკოჩაიშვილი-სარჯველაძის** გარდაცვალების გამო.

# ერთი საჭადრაკო ტურნირის ისტორიიდან

გაზეთმა „ალიონმა" №27, .(23 აგვისტო, 2021 წელი) „ალიონი"-ს 90 წლისთავთან დაკავშირებით გამოაქვეყნა დაახლოებით 90 წლის წინანდელი სტატიები ,რომლებიც იბეჭდებოდნენ და აქტუალური იყო იმ პერიოდისათვის. მათ შორისაა მაშინდელი სპორტული ჟურნალისტის ბატონ კოტე ჩხაიძის სტატია სათაურით „კოლმეურნეთა საჭადრაკო ტურნირზე"---„დამთავრდა კოლმეურნეთა საჭადრაკო ტურნირი რაიონის (მახარაძის) პირველობაზე .ტურნირმა ჭადრაკის ბევრი ნიჭიერი მოთამაშე გამოავლინა. პირველი ადგილი პარტიის წაუგებლად დაიჭირა **ბიჭიკო (თედორე) ჩხატარაიშვილმა**(შემოქმედი), მან მოიპოვა მონაწილეობის უფლება საქართველოს საკოლმეურნეო საჭადრაკო შეჯიბრებაში, რომელიც გაიმართება თბილისში თებერვლის შუა რიცხვებში. მეორე ადგილზე გამოვიდა კონკურსის გარეშე მონაწილე ამე-ლიქიშვილი, მესამეზე აპოლონ ქურიძე. ტუ-რნირის მონაწილე 8 კაცს მიენიჭა საკავში-რო მეხუთე კატეგორიის მოჭადრაკის სახელი".(სტილი დაცულია). „ალიონი" №16,.21 თებერვალი.-1939 წელი. როგორც სტატიაშია აღნიშნული, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის ორგა-ნიზებით 1939 წლის 25 თებერვალს მართლაც ჩატარებულა საქართველოს საკო-ლმეურნეო პირველობა ჭადრაკში. ამ შეჯიბრებაში მახარაძის რაიონიდან წარგზავნილ ბიჭიკო (თედორე) ჩხატარაიშვილს წარმატებით უასპარეზია და დაუკავებია საპატიო მე-2 და მე-3 საპრიზო ადგილები, რითაც დაჯილდოებული ყოფილა საქართველოს სსრ სახ-კომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის შესაბამისი სიგელითა და ფასიანი საჩუქრით.სიგელს ხელს აწერს მაშინდელი სახ.კომ.საბჭოს ფ/კ და სპორტის საქ.კომიტეტის თავმჯდომარე ა.ჭელიძე.



აღსანიშნავია ის გარემოება,რომ აღნიშნული წარმატების შემდეგ ბიჭიკო(თედორე) ჩხატარაიშვილს მინიჭებია საკავშირო პირველი კატეგორიის მოჭადრაკის სახელი, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთი ჩვენს ოჯახში ვერ მოვიძიე,ალბათ დროთა განმავლობაში დაიკარგა.

შემდგომ ბიჭიკო(თედორე) ჩხატარაიშვილი მონაწილეობდა „კავკასიის დაცვისათვის" ბრძოლებში ფაშისტების წინააღმდეგ. ომის დამთავრების შემდეგ გარკვეული წლები მუშაობდა ქ. მახარაძის სამხედრო ნაწილში და ხშირად მონაწილეობას ღებულობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ნაწი ლთა პირველობაზე ჭადრაკში.გარკვეული მიზეზების გამო ა.კ. სამხედრო ოლქის მასა-ლები ჩემთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

მოკლედ, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ქ.ოზურგეთს(მახარაძე) ყავდა საკავშირო პირველი კატეგორიის მოჭადრაკე ბიჭიკო(თედორე) ჩხატარაიშვილი სოფ.შ-ემოქმედიდან,რომელსაც საკავშირო ოსტატის წოდებამდე ერთი ნაბიჯი აკლდა.

# სკანვორდი



ხერხემლის
ნავის სახეობა
ქალაქი ევროპაში
მცენარე
მუსიკალური ინსტრუმენტი
ტაძარი რაჭაში
მწერალი სამხ. ამერიკაში
ყოფილი იტალიელი ფეხბურთელი
ანტიკური მღვდელმსახური
ყანის ყარაული
სამხედრო წოდება
სოკოვანი
კოზბოების მეჯიბრი
მიწის საზომი ერთეული
ხის ტოტი
მათემატიკური
მწერალი
მეფე დავით
ჩოგბურთის
თამბაქოს მოსაწევი
სიმინდის
ამერიკული სპორტი
თვე
ფრინველი
წყალსაცავი
ტყე
მცენარე
მდინარის
მდინარე ოზურგეთში

## პასუხები:

# ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906-1907 წწ.)

## ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად




მიმდინარე მომენტის ბოლშევიკური შეფასების დასაბუთებული კრიტიკა წარმოადგინა ნოე ჟორდანიამ. ბოლშევიკური ტაქტიკის შეცდომის არსი **ნოე ჟორდანიამ** ასე ახსნა: „ისინი (ბოლშევიკები - ვ. გ.) რევოლუციის მსვლელობას წარმოადგენენ ძალზე მარტივად: ერთ დღეში ან ერთ კვირაში მოხდება სრულიად რუსეთის აჯანყება, თვითმპყრობელობა დაემხობა, მის ადგილზე მოგვევლინება დროებითი რევოლუციური მთავრობა და დაფუძნდება რესპუბლიკა“.

ყრილობის მეოცე სხდომაზე თავმჯდომარემ დელეგატებს გააცნო წერილი თბილისიდან, რომელსაც ხელს აწერდა პარტიის 200 წევრი. წერილში აღნიშნული იყო, რომ რსდმპ IV ყრილობის არჩევნები თბილისში ჩატარდა დარღვევებით, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: 1. შეგნებულად გაზარდეს პარტიის წევრთა რაოდენობა 3000-ზე მეტ წევრამდე, როცა პარტიის წევრებად ისეთი პიროვნებების ჩათვალეს, რომელნიც არა თუ აღიარებდნენ პარტიის პროგრამას, არამედ წარმოდგენა არ ჰქონდათ მასზე; 2. პარტიის წევრთა სიების შედგენა ბევრგან მოხდა უშუალოდ ყრილობის დელეგატების არჩევის წინ; 3. პარტიის წევრების დიდი ნაწილი არ გასცნობია მომავალი ყრილობის დღის წესრიგს და ამრიგად, ადგილებზე ერთი აზრიც არ შემუშავებულა. წერილის შემდგენელთა აზრით, ყოველივე ეს გაკეთდა იმის გამო, რომ თბილისის ორგანიზაციას დელეგატთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა ჰყოლოდა ყრილობაზე. ნოე ჟორდანიამ მოითხოვა, ყრილობაზე დაწყებულიყო დებატები თბილისის წერილის თაობაზე. დელეგატთა ნაწილი კი თვლიდა, რომ თბილისის წერილის განხილვა უნდა მოეხსნათ დღის წესრიგიდან. ვლასა მგელაძემ დელეგატებს შესთავაზა, მოესმინათ ნოე ჟორდანიასათვის, რათა გაეგოთ, თუ რატომ იქნა არჩეული 11 დელეგატი თბილისიდან. საბოლოოდ ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, ემსჯელათ თბილისის წერილზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 42 ხმით 34-ის წინააღმდეგ. ნოე ჟორდანიამ ყრილობას გააცნო რსდმპ თბილისის ორგანიზაციის აღმოცენების მოკლე ისტორია, მისი სტრუქტურა. მან აღნიშნა, რომ 1905 წლის დამდეგს თბილისში იყო დაახლოებით 4.000 სოციალ-დემოკრატი, ხოლო რსდმპ IV ყრილობის წინა პერიოდში ჩატარებულმა აღრიცხვამ დაადგინა 3.300 წევრი. ნოე ჟორდანიას განცხადების თანახმად, თბილისში იმჟამად სულ 300 ბოლშევიკი იყო. ამრიგად, რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში, თუ ნოე ჟორდანიას მიერ მოყვანილ მასალს ვენდობით, სწორად იყო განსაზღვრული მენშევიკთა და ბოლშევიკთა შეფარდება (10:1). ნოე ჟორდანიას შემდეგ გამოსვლა ითხოვა იოსებ სტალინმა, მაგრამ დელეგატთა უმრავლესობის მოთხოვნით დებატები შეწყდა.

შეიარაღებული აჯანყების შესახებ საკითხის განხილვა დაიწყო იმით, რომ გიორგი პლეხანოვმა დელეგატებს წარუდგინა კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი. შემდეგ გადაწყდა, შეიარაღებული აჯანყების საკითხზე სიტყვა მიეცათ **მახნოვეცისათვის (აკიმოვისათვის)**, რის შემდეგაც მოხსენებით გამოვიდოდა თითო-თითო წარმომადგენელი მენშევიკური და ბოლშევიკური ფრაქციებიდან. ვ. აკიმოვმა შექმნილი სიტუაცია ღრმადგააანალიზა. მისი აზრით, შეცდომა იყო შეიარაღებული აჯანყების ტაქტიკისათვის მხარდაჭერა, თუმცა პროლეტარიატი მოითხოვდა სწორედ ამ უკანასკნელს.

ქართველი დელეგატებიდან სიტყვა პირველმა აიღო **ბიკენტი (ჭოლა) ლომთათიძემ.** მან თავისი სიტყვის დასაწყისში აღნიშნა, რომ ბოლშევიკების გამოსვლებში აშკარად გამოიყოფა ერთი თავისებურება. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიკები „სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას აიგივებდნენ მენალმეთა ბატალიონთან და ცხადია, პარტიის წევრებს - მენალმეებთან. ბოლშევიკები პარტიის წევრებს უმასპინძლდებოდნენ იმით, რომ უკითხავდნენ ლექციებს საბარიკადო ბრძოლების, ბარიკადების აგებისა და იმის შესახებ, თუ როგორ დაენიშნათ აჯანყება ღამის 2 საათზე. და როცა ჩვენ, რსდმპ გზადაბნეული შვილები, ამაში დავეჭვდით, როცა გამოვთქვით აზრი იმის შესახებ, რომ პარტია განსხვავდება მენალმეთა ბატალიონისაგან, მაშინ ჩვენ თავს დაგვესხნენ განსაკუთრებული თავგანწირვით, ჩვენ გამოგვაცხადეს არარევოლუციონერებად, კადეტებად და ა. შ.“ ბ. ლომთათიძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ არსებული უთანხმოების გამო ან ბოლშევიკებმა უნდა დატოვონ პარტია, ან მენშევიკებმა: „გამაერთიანებელმა ყრილობამ გვიჩვენა, რომ ერთ პარტიაში ვერ ვიმუშავებთ“.

საინტერესოა ქართველ დელეგატთა გამოსვლები დღის წესრიგის იმ საკითხზე, რომელიც ეხებოდა ეროვნული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების (პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატია, ლატვიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ბუნდი) გაერთიანებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან. **ნიკოლოზ ჭიჭინაძემ**, მიუღებლად მიიჩნია რა ბუნდის მიერ შემოთავაზებული გაერთიანების პრინციპი, აღნიშნა: „ამხ. ლიბერის ორგანიზაციული პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ პროლეტარებს ვუთხრათ: „ორგანიზაციები შექმენით ეროვნებათა მიხედვით!“ თუ ჩვენ დავდგებით ბუნდის შეხედულებაზე, მაშინ სხვა ეროვნებებიც დაადგებიან იმავე გზას. ამ გზას პროლეტარიატი მიჰყავს გათიშვისაკენ“. ნოე ჟორდანიაც ასევე არ დაეთანხმა ბუნდის მიერ შემოთავაზებულ გაერთიანების პრინციპს. მან განაცხადა: „თუ ჩვენ ბუნდთან გავერთიანდებით ამ პირობით, მაშინ შეიძენთ რა ბუნდს, თქვენ დაკარგავთ კავკასიას, სადაც ჩვენ ძლიერნი ვართ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს ორგანიზაციებს ვაშენებთ სხვა საწყისებზე“. ცოტა ქვემოთ ნოე ჟორდანიამ მთელი კატეგორიულობით აღნიშნა: „მე ვაცხადებ, რომ კავკასიის ორგანიზაციები დაინგრევა, თუკი ბუნდი პარტიაში შევა წინასწარ თავის ორგანიზაციულ პრინციპებზე უარის უთქმელად“.

**რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე აშკარად გამოიკვეთა ორივე - მენშევიკური და ბოლშევიკური - მიმდინარეობის სტრატეგიული ხაზი რუსეთის წინაშე მდგარი როგორც უახლესი, ისე შორეული პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლაში. ყრილობაზე ქართული სოციალ-დემოკრატია წარმოდგა როგორც ძლიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის ინტელექტუალური პოტენციალი სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენდა რუსული სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმდინარეობაზე.**

### ქართული სოციალ-დემოკრატია რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ

რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე ზოგიერთი დელეგატის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ რევოლუცია აღმავლობის გზით განვითარდებოდა, არ გამართლდა. აშკარა იყო, რომ 1906 წლის გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე ცხადი გახდა, რომ რევოლუცია ვეღარ გაგრძელდებოდა. დიდ პროლეტარულ ცენტრებშიც კი რევოლუციური გამოსვლები აშკარად შენელდა ან საერთოდ შეწყდა. ამ ფონზე ქვეყანაში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა სახელმწიფო სათათბირო. მეტი აქტივობა შეინიშნებოდა გლეხთა მოძრაობაში, თუმცა გამოსვლების ტემპმა იქაც შესამჩნევად იკლო. ცალკეული გამოსვლების მიუხედავად, აშკარა გახდა, რომ რევოლუცია სოფლადაც დასრულდა.

არალეგალურ პირობებში მომუშავე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ნელ-ნელა იკრებდნენ ძალას. ამ პერიოდის პარტიული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო **რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების** პროექტის შემუშავება და განხილვა. წესდების პროექტი 1906 წლის ივნისში გამოქვეყნდა გაზეთ „ახალ ცხოვრებაში“. წესდების პროექტი სულ 22 პარაგრაფისაგან შედგებოდა. მასში ვკითხულობთ: „პარტიის წევრები თბილისში შეადგენდნენ ერთათ თბილისის ს. დ. მუშათა ორგანიზაციას“ (§1); პროექტის მიხედვით, „პარტიის ახალ წევრებს იღებენ ძირითადი ორგანიზაციები თანახმად იმ წესდებისა, რომლებსაც შეიმუშავებს თბილისის კომიტეტი და დაამტკიცებს მთელი თბილისის ორგანიზაცია“ (§2); პროექტი პარტიის წევრის მოვალეობას ასე განსაზღვრავდა: „ორგანიზაციის ყოველი წევრი მოვალეა, დაემორჩილოს როგორც პარტიის ყოველ დადგენილებას, ისე ადგილობრივი ორგანიზაციის უმეტესობას; მოვალეა აგრეთვე მოიზიდოს ახალი წევრები სოციალ-დემოკრატიული აზრების გავრცელებით და საერთოდ, იმოქმედოს ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტიის ინტერესები“ (§3); წესდების პროექტში აღნიშნული იყო, რომ „ძირითად ორგანიზაციათ ითვლება ორგანიზაცია, შემდგარი პარტიის ოც და ხუთი წევრისაგან“ (§4); წესდების პროექტის მიხედვით, სტრუქტურა ასეთი იყო: რსდმპ თბილისის ორგანიზაციის ძირითადი წევრები ირჩევდნენ ერთ წარმომადგენელს რაიონულ კომიტეტში (§5); ძირითადი ორგანიზაციების წარმომადგენლები შეადგენდნენ რაიონულ კომიტეტს (§7); რაიონული კომიტეტი ავტომატურად განაგებდა რაიონული ორგანიზაციის საორგანიზაციო მუშაობას, პროპაგანდისა და აგიტაციის საქმეებს (§8); რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელად ითვლებოდა რსდმპ თბილისის კომიტეტი, რომელიც შედგებოდა რაიონულ ორგანიზაციებში არჩეული წევრებისაგან (§13); რსდმპ თბილისის კომიტეტი ხელმძღვანელობდა პარტიულ მუშაობას ქალაქის მასშტაბით (§14); მიმდინარე (ყოველდღიური) საქმეების გაძღოლის მიზნით რსდმპ თბილისის კომიტეტი ირჩევდა აღმასრულებელ კომისიას, რომლის ფუნქციებსაც თვითონვე განსაზღვრავდა (§18); წესდების პროექტით დადგენილი იყო, რომ ძირითადი ორგანიზაცია უნდა შეკრებილიყო კვირაში ერთხელ მაინც (§6); რაიონული კომიტეტი, კვირაში, ჩვეულებრივ, ერთხელ იკრიბებოდა, საგანგებო შეკრებას ნიშნავდა ან რსდმპ თბილისის კომიტეტი ან რსდმპ თბილისის რაიონული კომიტეტი თავის წევრთა ერთი მეოთხედის მოთხოვნის შედეგად (§11); რსდმპ თბილისის კომიტეტი იკრიბებოდა კვირაში ერთხელ, საგანგებო შეკრებას ნიშნავდა ან აღმასრულებელი კომიტეტი ან თბილისის კომიტეტის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარი-მაინც (§19); რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტით, ქალაქის ყოველი პარტიული ორგანო ირჩეოდა ექვსი თვით. ამასთან, ყოველ ამომრჩევ ორგანიზაციას უფლება ჰქონდა არჩეული პირის გამოწვევისა (§21); ხოლო თუ ამომრჩეველთა უმრავლესობა უკმაყოფილო იყო არჩეული ორგანოთი, ეს უკანასკნელი გაუქმებულად ითვლებოდა (§22); კოოპტაცია უქმდებოდა, თუმცა ყოველი ორგანიზაციის კრებას უფლება ჰქონდა მოეწვია წევრი არჩევით ორგანოში სათათბირო ხმით

რსდმპ თბილისის ორგანიზაციას, წესდების პროექტის მიხედვით, უნდა აერჩია: ერთი წარმომადგენელი რაიონულ კომიტეტში, ერთი ორგანიზატორი, ერთი **ამკრები** („სბორშჩიკი“) და ერთი კონსპირატორი. ამკრების მოვალეობა იყო ფულადი სახსრების (საწევროს) აკრება პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა შორის; ორგანიზატორს ევალებოდა კრებების მოწვევა; კონსპირატორის ფუნქცია განისაზღვრებოდა პარტიული ლიტერატურის გავრცელებით; **წარმომადგენელს** ევალებოდა პარტიულ-პოლიტიკური კითხვების დამუშავება პარტიის წევრთა შორის (§5). რაიონულ კომიტეტს ჰქონდა საკუთარი სალარო, რომელშიცპარტიის წევრთა და თანამგრძნობთა შორის აკრეფილი თანხ-ის (საწევროს) გარკვეული პროცენტი რჩებოდა, დანარჩენი თანხა კი გადაეცემოდა რსდმპ თბილისის კომიტეტის სალაროს (§10). რაიონული კომიტეტი ყოველთვიურად ადგენდა პარტიული სახსრების შემოსავალ-გასავლის ანგარიშს (§12). რსდმპ თბილისის კომიტეტის სტრუქტურა (აპარატი), წესდების მიხედვით, ასე წარმოგვიდგება. რსდმპ თბილისის კომიტეტი ირჩევდა: **მომხსენებელს** რაიონული კომიტეტებისათვის, ერთ **ტექნიკოსს,** ერთ **ორგანიზატორს**, ერთ ორგანიზატორს წითელი რაზმებისათვის, ერთ **ორგანიზატორს** ჯარისკაცთა კომისიისათვის და ერთ ორგანიზატორს გლეხთა კომისიისათვის

რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტის განხილვა დაიწყო მისი გამოქვეყნებისთანავე. 1906 წლის 25 ივნისს გაზეთ „ახალი ცხოვრებაში“ **„კობას“** ფსევდონიმით დაიბეჭდა **იოსებ ჯუღაშვილის** წერილი **„რეორგანიზაცია თბილისში“.** რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წესდების პროექტი ძირითადად შემუშავებული იყო ქართველი მენშევიკების მიერ. სწორედ ამიტომ იოსებ სტალინმა მას ბევრი „ნაკლი“ მოუძებნა. ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლად იგი მიიჩნევდა იმას, რომ წესდების პროექტი ერთმანეთისაგან არ გამოყოფდა წევრთა „პროფესიონალურ“ და „პარტიულ“ ფუნქციებს. გარდა ამისა, იოსებ სტალინის აზრით, წესდების პროექტში სრულიად არ იყო დაცული დემოკრატიზმის პრინციპები.

**(გაგრძელება იქნება)**

**ვახტანგ გურული**

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3; გვ: 445-447)

# „გამიღეთ ცის-კარი“



ისე შეაღო მკითხველთა გულის კარები, დააკაკუნება არ დასჭირვებია. ყველა მწერლის შემოქმედებაშია ასახული მისივე პორტრეტი, ცხოვრებისეული ეპიზოდები, ემოცია, თუ განცდა, მაგრამ, თამამად შეიძლება ითქვას, ნოდარ დუმბაძის ბიოგრაფიული შტრიხები და მისივე შემოქმედება, ერთ, დიდ მთლიანობას წარმოადგენს. მზით, სინათლით და სიყვარულით გაჯერებულ მთლიანობას.გულისა და გონების განუსაზღვრელი ხედვა, შესაძლებლობები, ცამდეც მაღლდება და მიწისქვეშეთშიც აღწევს. ამიტომ არის ცისაც და მიწისაც, სადაც მარადისობაც იკითხება და ამქვეყნიური წუთისოფლობაც.ესაა მთავარი მიზეზი, ასე სიამოვნებით რომ სტუმრობენ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას, რეჟისორები, მკითხველები, მაყურებლები. აქ ყოველი ახალი სტუმრობისას, რაღაც განსაკუთრებულს და ახალს წაიკითხავ, ნახავ.

ამ განცდით ეწვია დუმბაძისეულ სამყაროს ახალგაზრდა რეჟისორი ელენე მაცხონაშვილი, რომელიც ნოდარ დუმბაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი საავტორო სპექტაკლით „გამიღეთ ცის-კარი“, წარსდგა ოზურგეთელი მაყურებლის წინაშე.

სპექტაკლის პრემიერა 16 ივნისს გაიმართა თეატრის მცირე დარბაზში. **შემოქმედებითი კოლექტივი:** მხატვარი ვახო ქორიძე; რეჟისორის ასისტენტი გიორგი დოლიძე; ტექნიკური რეჟისორი ვახტანგ ჩხარტიშვილი; მონაწილე მსახიობები: თამარ მდინარაძე; ზვიად ჯორბენაძე; გიორგი დოლიძე; ვახტანგ ჩხარტიშვილი; თეა კეჭაყმაძე; მარიკა ასათიანი; შორენა გვე-ტაძე; ციცი ბუცხრიკიძე; ნიკა ძნელაძე.

თოჯინური და ცოცხალი შესრულების ერთობლიობა, ამძაფრებს როგორც სანახაობრივ, ისე ემოციურ ფონს.

სპექტაკლის რეჟისორი და შემოქმედებითი კოლექტივი, კარგად ახერხებს მოიტანოს მაყურებელთან, ნოდარ დუმბაძის ცხოვრება, ბავშვობიდან მოყოლებული, მისსავე ქმნილ ყველა რომანსა თუ მოთხრობაში გაწერილი; როცა სახლის კარებზე უხეშმა დაკაკუნებამ, სახლიდან გაიყვანა მშობლები. რასაც მაშინ თან გაჰყვა მწერლისა და მისი დის, ლეილას ბავშვობა - „მაშინ ვერ ვხვდებოდი, რომ ბავშვობა აღარ გვქონდა“. უდიდესი ნაწილი ეთმობა გურიაში, ქიშვარდი ბაბუასთან გატარებულ წლებს. მერე ცხოვრებამ კვლავ შემოაბიჯა თავისი მკაცრი ნაბიჯებით. თუმცა მიუხედავად დიდი ტკივილისა, ვერ წაშალა იუმორის განცდა. ვერც სინათლე დაჩრდილა ბნელმა, რადგან ხატია მაინც ხედავდა მზეს.

კვლავ დავუბრუნდეთ სცენას, რომელიც, თითქოს ისევეა გახვეული ჩრდილში, როგორც მწერლის ბავშვობა, ყრმობა და შუა ასაკი, რომლის იქეთაც არ წასულა ამქვეყნიური მისი ცხოვრება. ჩემოდნებით დროის ცვლილებაა გამოხატული, სარკე, მის თანმდევ წელთა ანარეკლია.

თამარ მდინარაძის და ზვიად ჯორბენაძის პერსონაჟების სხვადასხვა ემოციით დატვირთული თხრობა - ანუ, ცხოვრების ეპიზოდები, ხან ყინულივით ცივ, ხან სიყვარულით სავსე, ხანაც ტკივილითა და უსამართლობით სავსე წლებთან ჭიდილში.

ასევე მთავარი პერსონაჟი - მწერალი თოჯინა, რომლის მოგზაურობას დროსა და სივრცეში, კარგად ახერხებენ ოზურგეთელი მსახიობები. როცა ზღვასავით ღელავს ცხოვრება, და, ამ ღელვაშიც ისევე რჩება თვითმყოფადობა. იქვეა მისი საყვარელი ძაღლი, თუნდაც მურადა.რომელიც თან დაჰყვება მწერალს, როგორც ერთგულების და სიყვარულის სიმბოლო. „გააცოცხლეთ სიყვარული დედამიწაზე თუ შეგიძლიათ.“; „ისე მეშინოდა სიბერის, რომ სიამოვნებით მოვკურცხლავდი ბავშვობისკენ. სიბერისკენ აღარც წასულა.

საინტერესო იყო სპექტაკლის დასასრული. გარდაცვალების სცენა. სინათლის სხივი. ცის კართან დგას გარდაცვლილი მწერალი და აკაკუნებს - „გამიღეთ ცის-კარი“, იღება კარი და მწერალი მარადისობაში ინაცვლებს, რომელიც ამქვეყნიურ წარმოსახვაში თავად გაწერა მარადისობის კანონსა თუ სხვა ნაწარმოებებში და მკითხველთა გულებშიც სიყვარულით დაიდო ბინა.

წარმატებები ახალგაზრდა რეჟისორს, რომელმაც ოზურგეთის თეატრში უკვე რამდენიმე სპექტაკლი დადგა, წარმატებები ჩვენს შემოქმედებით დასს.

ავტორი და რეჟისორი **ელენე მაცხონაშვილი:** — *„მეხუთე სპექტაკლს ვდგამ ოზურგეთის თეატრში. მართლაც საინტერესოა მათთან მუშაობა, ესენი დრამის მსახიობები არიან. როდესაც პირველი პროექტი განვახ-ორციელეთ 2019 წელს, ეს იყო „ფიროსმანი“, მაშინ დაეუფლნენ ოზურგეთელი მსახიობები თოჯინების ტარების ხელო-ვნებას. უკვე პროფესიონალ მეთოჯინეებსაც არ ჩამოუვარდებიან. ზოგადად ქალაქიც თბილია, თეატრიც შემოქმედებითია, ბევრი საინტერესო პროცესი მიმდინარეობს. მინდა მადლობა გადავუხადო ნოდარ დუმბაძეს, სწორედ მისი სახელობის ფესტივალი გველოდება წინ.“*

ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 5 - დან 15 ივლისამდე პერიოდს მოიცავს, სადაც მონაწილეობას 8 ქვეყანა და საქართველოს 16 თეატრი მიიღებს. ოზურგეთის თეატრის სამ განსხვავებულ სივრცეში, ნოდარ დუმბაძისა და სხვა ქართველ კლასიკოს მწერალთა შემოქმედებაზე შექმნილი სპექტაკლები გაიმართება.

**ნინო ნიკოლაიშვილი**

# „რა სიკეთესაც გავაკეთებთ, ის მოგვიბრუნდება უფლისგან“



**ალიონი.** 14 ივნისი, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღედ, საქართველოს პარლამენტის მიერ, 2000 წელს გამოცხადდა. ამ დღესთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი და კომპანია „არტ ნონა“ დაბა ურეკში შშმ პირთა პანსიონატ „ბარბარეს“ ესტუმრნენ. ოზურგეთის თოჯინების თეატრის მსახიობებმა თოჯინური სპექტაკლი აჩვენეს და მუსიკალურ ნომრებში ბენეფიციარების ჩართვაც კი შეძლეს.

**მერაბ შათირი,** მწერალი: *—2021 წლის 1 ოქტომბერს, დაბა ურეკში გავხსენით შშმ პირთა პანსიონატი.*

*დასახელებული პანსიონატები არის სახელმწიფო პროგრამით არსებული ლიმიტირებული დაწესებულება, სადაც თითოეულ ბენეფიციარს ემსახურება სახელმწიფო, აფინანსებს მას და ჩვენ ვზრუნავთ ამ დაფინანსების მიხედვით.*

*ჩვენ იმისთვის ვართ ამ ქვეყნად, რომ ხვალინდელ დღეს გავუფრთხილდეთ. ჩვენ რა სიკეთესაც გავაკეთებთ, ის მოგვიბრუნდება უფლისგან. ამიტომ გვერდში უნდა დავუდგეთ ასეთ ადამიანებს.*

*მადლობა მინდა გადავუხადო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, მის მოადგილეს, ქალბატონ ნათია გოლიაძეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრის კოლექტივს, „არტ ნონას“, რომ დღეს ასეთი სიხარული აჩუქეთ ჩვენს ბენეფიციარებს.*

**ნონა აფრიდონიძე,** „არტ ნონას“ დამფუძნებელი: — *ერთი წელი გავიდა ჩვენი კომპანიის დაარსებიდან.*

*ვიფიქრეთ, რომ ასეთ ადამიანებს ჭირდებათ გახარება, სიყვარული და ბედნიერება. ქალბატონი ნათია გოლიაძე იყო ადრე ამ პანსიონატში და გვითხრა, რომ კარგი იქნებოდა თუკი აქ მოვიდოდით, რადგან ჯერ-ჯერობით ამ პანსიონატს ბიზნესმენებისგან არ აქვს ჯეროვანი ყურადღება. აქ მოსვლით აღვნიშნეთ ჩვენი დაარსების ერთი წელი.*

**ნინო კვერღელიძე,** პანსიონატ „ბარბარეს“ მენეჯერი: —ჩვენთან არიან როგორც შშმ პირები, ისე ხანდაზმულებიცამჟამად 24 ბენეფიციარი გვყავს. აქ მთავარი სიყვარულია. ძალიან ბევრი ღონისძიება გვაქვს: ხატავენ, ამზადებენ ნაკეთობებს, ეწყობა კონცერტები... არაერთი შშმ პირი, რომ იტყვიან, ავალაპარაკეთ. . ძალიან გაგვახარა „არტ ნონას“ საჩუქრებმა...

ღონისძიება შეაჯამა და გაზეთ „ალიონთან“ კომენტარი გააკეთა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ქალბატონმა **ნათია გოლიაძემ:**

*— დღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეა. ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ხელი შევუწყოთ საზოგადოებაში მათი რეალური შესაძლებლობების წარმოჩენას, თანასწორი გარემოს შექმნას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართულობა. დღეს კი საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობის კარგი მაგალითი ვაჩვენეთ. ამ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობისთვის მადლობა მინდა ვუთხრა, კომპანია „არტ ნონას“ დირექტორს, ქალბატონ ნონა აფრიდონიძეს. მსგავსი დამოკიდებულება მისასალმებელია.*



# ოზურგეთელმა ნორჩი ფეხბურთელების წარმატება ბათუმში



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებასთან არსებული საფეხბურთო სკოლის გუნდმა (2011-20-12 წ.წ.) ქ. ბათუმში აწ გარდაცვლილი, ცნობილი ფეხბურთელების იური ესებუას და ნიკოლოზ სურგულაძის ხსოვნის ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და გაიმარჯვეს.

ამ ღონისძიები ორგანიზატორი მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბა-თუმის საფეხბურთო სკოლა იყო (ორგანიზატორი ემზარ იმნაძე). ოზურგეთის საფეხბურთო სკოლის გუნდმა ფინალში ფერიის სასპორტო სკოლის თანატოლები 4:1 დაამარცხეს და ტურნირის მთავარ ჯილდოს დაეუფლნენ. (მწვრთნელები გოჩა კრასოტკინი, თორნიკე წულაძე). ამავე სკოლის გუნდი წელს (2006-2007 წ.წ.) სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონულ ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.



# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 20 ივნისი ორშაბათი | 21 ივნისი სამშაბათი | 22 ივნისი ოთხშაბათი | 23 ივნისი ხუთშაბათი | 24 ივნისი პარასკევი | 25 ივნისი შაბათი | 26 ივნისი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭექა ქუხილი | მზე, ღრუბელი | წვიმა | ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი |
| +16 +25 | +16 +28 | +14 +23 | +13 +23 | +15 +25 | +16 +26 | +16 +26 |